*წინამდებარე ფორმა გამოიყენება NVU-ის პროგრამის მოსამზადებლად. შევსებული ფორმა დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. ცისფრად მონიშნულია გრაფები მიუთთებენ NVU-ის მიერ მოთხოვნილ ინფომაციაზე და შევსებას არ ექვემდებარებიან (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული,) ყვითლად მონიშნული გრაფების შევსება ნაბაყოფლობითია.*

## 1. ზოგადი ინფორმაცია

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **მედიცინის სადოქტორო პროგრამა** | | |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ძირითადი სპეციალობის მიხედვით): | **მედიცინის დოქტორი (Doctoris medicinae)** | | |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით: | **180** | საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონე (VI, VII or VIII) | VIII |
| არსებული კონცენტრაციები: | **მედიცინა** | | |
| პასუხისმგებელი სკოლა/სკოლები: | **მედიცინის სკოლა** | | |
| პროგრამის ხელმღვანელ(ებ)ი: | **არჩილ ალადაშვილი, ეკატერინე კლდიაშვილი** | | |
| სწავლების ენა | **ინგლისური/ქართული** | | |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული: | **(დიპლომირებული მედიკოსი ან მასთან გათანაბრებული აკ. ხარისხი /განათლების და მეცნიერების სამინისტროს განსხვავებული წესი)** | სხვა | **მოტივაცია; ინგლისური ან სხვა ევროპული ენის (გერმანული, ფრანგული) B2 დონეზე ფლობა** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დამატებითი სპეციალობა: | არა | დისტანციური სწავლება | არა | გაცვლითი სტუდენტების თვის ხელმი-საწვდომობა | დიახ | სამუშაო გამოცდილება/ დასაქმება: | არა |
| ხელმისაწვდომობა თავისუფა–ლი მსმელების–თვის: | არა | წინასწარი რეგისტრაციის მოთხოვნა | დიახ | სხვა | არა | სხვა | არა |

| | | | |
|---|---|---|---|
| სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა: | **ნაკადში 12 სტუდენტი** | შეცვლილი პროგრამა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): | **არ არსებობს** |
| სავარაუდო განხორციელების თარიღი: | **01.06.2015** | შეთავაზების თარიღი: | **01.03.2015** |

## 2. მიზნები და სწავლის შედეგები

| | |
|---|---|
| მიზნები: | პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშეწყობა და ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება არსებული ცოდნის გაღრმავებისა და ახალი და ეფექტური მეთოდების დანერგვის გზით მედიცინაში. კვლევისა და სწავლებისთვის საჭირო კომპეტენციათა განვითარების ხელშეწყობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს VIII დონის შესაბამისად (იხ. ქვემოთ) |
| ზოგადი სწავლის შედეგები: | უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიღება, რაც არსებული ცოდნის ინოვაციური და ეფექტური მეთოდების გამოყენებით გაფართოების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);<br>ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების ანალიზის უნარის განვითარება;<br>პრობლემის გადაჭრისათვის ეფექტური გადაწყვეტილების მიღება;<br>ინოვაციური და აქტუალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა, აგრეთვე ინოვაციური და აქტუალური კვლევის შედეგების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა;<br>ახალი იდეების განვითარებისთვის მზაობა და ახალ ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა ან არსებულ ღირებულებათა დასამკვიდრებლად ინოვაციური და აქტუალური მეთოდების შემუშავება. |
| დარგობრივი სწავლის შედეგები: | დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა ახალი სამედიცინო პრაქტიკის, დიაგნოსტიკური და სამკურნალო მიდგომების კონტექსტში, რაც სადოქტორო ნაშრომის მეშვეობით არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე; სადოქტორო ნაშრომის მეშვეობით არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;<br>ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ინოვაციური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;<br>მედიცინაში, დიაგნოსტიკური და სამკურნალო პრაქტიკითა და მეცნიერული თეორიებით გათვალისწინებული ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;<br>ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, განსაკუთრებით, სადოქტორო ნაშრომის ჭრილში; ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;<br>უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;<br>ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება. |

## 3. მოდულიზებული კომპონენტები სწავლის შედეგების ჭრილში

| კოდი (პროგრამა–მოდული–კომპონენტი) | მოდულები & კომპონენტები: | სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | ECTS (სემესტრის შეთავაზება სტუდენტის პროფილისთვის) | ცოდნა და გაცნობიერება | დასკვნების უნარი | კომუნიკაციის უნარი | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| DM 0101 | სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები | ს | 30 (I) | | √ | √ | √ | √ | √ |
| DM 0102 | სწავლების მეთოდები I | ს | 15 (II-V) | √ | √ | √ | √ | | |
| DM 0103 | სწავლების მეთოდები II | ა | 15 (III-V) | | √ | √ | √ | | |
| DM 0104 | I სემინარი | ს | 15 (II-V) | | √ | √ | √ | | √ |
| DM 0105 | II სემინარი | ა | 15 (III-V) | | √ | √ | √ | | √ |
| DM 0201 | ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა I | ს | 15 (II/III) | | √ | √ | √ | √ | √ |
| DM 0202 | ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა II | ს | 15 (III/IV) | | √ | √ | √ | √ | √ |
| DM 0203 | ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა III | ს | 15 (IV/V) | | √ | √ | √ | √ | √ |
| DM 0204 | I კოლოკვიუმი | ს | 15 (II/III) | | √ | √ | √ | | √ |
| DM 0205 | II კოლოკვიუმი | ს | 15 (III/IV) | | √ | √ | √ | | √ |
| DM 0301 | სადოქტორო ნაშრომის დახვეწა და დაცვა | ს | 30 (VI) | √ | √ | √ | √ | | √ |

**სხვა ან დეტალურად:**
მიუთითეთ, ყველაზე მეტად რომელი უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამა, შეარჩიეთ მინიმუმ 5 (მაქსიმუმ 10) ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| ანალიტიკური უნარები | √ | ლიდერობა | |
| კომერციული აზროვნება | | დაგეგმვა და ორგანიზება | √ |
| თავჯერებულობა | | პროფესიონალიზმი | |
| პრობლემების გადაჭრისადმი კრეატიული მიდგომა | √ | კვლევის უნარი | √ |
| კრიტიკური აზროვნება | √ | თვითრეალიზაცია | √ |
| ეთიკური ნორმების გაცნობიერება | √ | სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების აღქმა | |
| მოქნილობა | | გუნდური მუშაობა | |
| დამოუკიდებელი მუშაობა | √ | დროის მენეჯმენტი | √ |
| ინიციატივა | | ინტერპერსონალური უნარები | |
| სწავლის უნარი | | სწავლების უნარი | √ |

## 4. სწავლის შედეგების მიღწევის გზები და შეფასება:

**კავშირი გამოყენებულ მეთოდებსა და სწავლის შედეგების მიღწევას შორის** ***(ინფორმაცია არ ექვემდებარება გამოქვეყნებას):***

| |
|---|
| სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კვლევის ძირითადი მეთოდების გაცნობა ხდება პირველ სემესტრში სპეციალური ძირითადი სასწავლო კურსის (სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები) მეშვეობით. იგი საშუალებას აძლევს სტუდენტს, გაეცნოს სადოქტორო კვლევის ორგანიზების მეთოდებს, პირველად წყაროებთან მუშაობის და მეორადი წყაროების გამოყენების სპეციფიკას. ძირითადი მეთოდი „გააკეთე და ისწავლეა“, ვინაიდან სტუდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებული კომპონენტები. მომდევნო სემესტრიდან სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, თავად განსაზღვროს საკუთარი პროფილი: აირჩიოს ძირითადი სასწავლო კომპონენტები (სწავლების მეთოდები, I ან I სემინარი) ან დაიწყოს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა ან ჩაატაროს პირველი კოლოკვიუმი. სემინარისაგან განსხვავებით, რომელიც სასწავლო კომპონენტად ითვლება და, შედეგად, არ არის დაკავშირებლი სადოქტორო ნაშრომთან, კოლოკვიუმი სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებული კომპონენტია და დისერტაციის ნაწილს შეადგენს. თავის მხრივ, ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა კოლოკვიუმისგან იმით განსხვავდება, რომ არის მითითებების მიღების ფართო შესაძლებლობა იმ დროს, როცა კოლოკვიუმი დამოუკიდებელ მუშაობას ემყარება. ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და დამოუკიდებლად ჩატარებული კოლოკვიუმის გონივრული ნაზავი ხელს უწყობს, შესაბამისად, დამოუკიდებელი და ინტერაქტიული მუშაობით განპირობებული უნარების განვითარებას. სწავლების მეთოდები II ან II სემინარი არჩევითი კომპონენტებია, რომლებიც სტუდენტს საშუალებას აძლევენ, კიდევ უფრო დახვეწონ საკუთარი პროფილი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მეტ დაინტერესებას სწავლების და არა დამატებითი კვლევითი კომპონენტის მიმართ იჩენს. |

**შეფასების სისტემა**

| ქულათა მაქსიმალური რაოდენობებიდან | შეფასება (მოკლე აღწერილობა) | სტუდენტების შედეგების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი (შეიძლება გამოყენებული იქნეს შეფასების ადეკვატურობის მონიტორინგის მიზნით) |
|---|---|---|
| 91-100 | A (ფრიადი) | საუკეთესო 10% |
| 81-90 | B (ძალიან კარგი) | საშუალოზე მაღალი 20 % |
| 71-80 | C (კარგი) | საშუალო 30 % |
| 61-70 | D (დამაკმაყოფილებელი) | საშუალოსთან მიახლოებული 20% |
| 51-60 | E (საკმარისი) | ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 10% |
| 41-50 | FX (ვერ ჩააბარა, ეძლევა გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება) | |
| 0-40 | F (ჩაიჭრა) | |

## 5. წყაროები

**ამ კომპონენტის შესასრულებლად აუცილებელი წყაროები:**

| სახელწოდება: | აღწერილობა : |
|---|---|
| PubMed (ან Hinari) მონაცემთა ბაზა | ელექტრონული ბიბლიოთეკა |